

დამტკიცებულია

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის

2016 წლის 27 ოქტომბრის № 156 ბრძანებით

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულების

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი
ეკლესიის

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის

დოქტორანტიურისა და საღისეურტაციო საბჭოს

დებულება

თბილისი

2016

1

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. წინამდებარე დებულება ადგენს ა(ა)იპ მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების–საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში (შემდგომში - თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია ან თსას-ი) უმაღლესი აკადემიური განათლების მესამე საფეხურზე, დოქტორანტურაში, სწავლების წარმართვისა და თეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესს;
- 1.2. დოქტორანტურა მიზნად ისახავს საღვთისმეტყველო სამეცნიერო და პედაგოგიური კადრების მომზადებას, სასულიერო აკადემიის სასწავლო და კვლევითი პოტენციალის განვითარებასა და გაფართოებას;
- 1.3. დოქტორანტურაში სწავლის უფლება ეძლევა მართლმადიდებლური თეოლოგიის მაგისტრის ან, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, მონათესავე დარგის აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომლის მიღების საკითხს წყვეტს სამეცნიერო საბჭო. დოქტორანტობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს მოძღვრის რეკომენდაცია და თსას-ის სამეცნიერო საბჭოს წარდგინება;
- 1.4. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს სხვა ქვეყნის მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებულს, რომელსაც აქვს მართლმადიდებლური თეოლოგიის მაგისტრის ან, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, მონათესავე დარგში აკადემიური ხარისხი, ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი და სამეცნიერო საბჭოს თანხმობა;
- 1.5. დოქტორანტურაში სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე შესაბამისი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით;
- 1.6. თსას-ის დოქტორანტურის კურსდამთავრებულს სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ ენიჭება თეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი;
- 1.7. დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა 3 (სამი) წელია, სწავლა უფასოა;
- 1.8. თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებას ამტკიცებს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი.

მუხლი 2. სადოქტორო პროგრამების შემუშავება და ხელმძღვანელი

- 2.1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას შეიმუშავებს სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცებული ხელმძღვანელი. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას თავდაპირველად განიხილავს შესაბამისი კათედრა. განხილული პროგრამა თანდართული ოქმით დასკვნისათვის გადაეცემა თსას-ის ხარის-

- 2.2. ხის უზრუნველყოფის სამსახურს. დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პროგრამა დასამტკიცებლად წარედგინება თსას-ის სამეცნიერო საბჭოს;
- 2.3. სადოქტორო პროგრამებს წარმართავენ:
 - ა) თსას-ის პროფესორები;
 - ბ) სხვა სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულებიდან მოწვეული სპეციალისტები, რომელთაც აქვთ სადოქტორო პროგრამის შესაბამისი უმაღლესი აკადემიური ხარისხი;
- 2.4. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი წერილობით ასაბუთებს სადისერტაციო თემის აქტუალობასა და სიახლეს.
- 2.5. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელად შეიძლება დაინიშნოს ისეთი დოქტორი, რომელსაც შესაბამისი ან მომიჯნავე სპეციალობით აქვს გამოქვეყნებული არანაკლებ 5 ნაშრომი რეფერირებად და რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში.
- 2.6. პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ თსას-ის პროფესორები, საჭიროების შემთხვევაში – მართლმადიდებლური თეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტები.

მუხლი 3. სადოქტორო პროგრამის კომპონენტები

- 3.1. დოქტორანტი უნდა შეასრულოს 180 კრედიტი: სადოქტორო პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტს 45-60 კრედიტისა და კვლევით კომპონენტს 120-135 კრედიტის მოცულობით;
- 3.2. დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი გულისხმობს დოქტორანტის პროფესიულ სრულყოფასა და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას. სასწავლო კომპონენტში შედის: სპეციალური კურსებისაგან შემდგარი საკითხები, რომელიც მოიცავს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სპეციალურ და მომიჯნავე საგნებს. სასწავლო კომპონენტში შემაჯავლი თითოეული საგანი მთავრდება გამოცდით.

სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ნაწილებია:

1. პროფესორის ასისტენტობა – დოქტორანტი ვალდებულია ასისტენტობა გაუწიოს აკადემიურ პერსონალს და მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში. პროფესორის ასისტენტობა განისაზღვრება სპეციალური ინსტრუქციის მიხედვით.
 2. დოქტორანტის სემინარი – დოქტორანტი ვალდებულია დისერტაციის დაცვამდე ერთხელ მაინც წარდგეს თეორიული ხასიათის მოხსენებით სასწავლო კურსების შესაბამისად.
- 3.3. დოქტორანტურის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი მოიცავს:
 - ა) სადოქტორო თემის შერჩევასა და გეგმის შედგენას, ბიბლიოგრაფიის

შედგენას, ბიბლიოგრაფიაში წარმოდგენილ ნაშრომთა შესწავლა-ანალიზს, დისერტაციის მომზადების I, II, III ეტაპებს;

ბ) კოლოკვიუმს, რომელიც ტარდება ორჯერ მაინც და წარმოადგენს დოქტორანტის კვლევის შედეგების პრეზენტაციას (იგულისხმება მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების სფეროში სამეცნიერო მიღწევების, პრობლემების, უახლესი სპეციალური ლიტერატურის შეფასება-განხილვა). პრეზენტაციები ფასდება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და კათედრაზე შექმნილი დარგობრივი კომისიის მიერ;

გ) სადისერტაციო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას.

მუხლი 4. დოქტორანტურაში ჩარიცხვის წესი

4.1. დოქტორანტურაში მიღება დამტკიცებული სადოქტორო პროგრამის საფუძველზე ცხადდება შემოდგომის (ან გაზაფხულის) სემესტრისათვის;

4.2. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველს რექტორის სახელზე შეაქვს წერილობითი განაცხადი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს შესაბამისი სადოქტორო პროგრამა.

განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ (CV) ;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) თეოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის ან, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, მონათესავე დარგში აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დიპლომის დანართის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი;

დ) შესაბამისი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შუამდგომლობა და მისი რეცენზია დოქტორანტის მიერ წარმოდგენილ რეფერატზე ან გამოქვეყნებულ ნაშრომზე;

ე) მოძღვრის რეკომენდაცია;

ვ) დოქტორანტობის კანდიდატის საბუთების მიღების საკითხს წყვეტს თსას-ის სამეცნიერო საბჭო;

ზ) ორი ფოტოსურათი 3\4 დისკოთა ერთად;

თ) სხვა დოკუმენტები, რომელთაც შეიძლება ითხოვდეს კონკრეტული პროგრამა;

4.3. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ-ერთი ევროპული (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ახალი ბერძნული, რუსული) ენის ცოდნა არანაკლებ B2 დონეზე (უცხო ენის გამოცდისაგან თავისუფლდებიან B2 დონის დამადასტურებელი დიპლომის ან სერტიფიკატის მქონე პირები);

4.4. თსას-ის სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს დამატებითი მოთხოვნები;

- 4.5. დოქტორანტურაში ჩარიცხვა ხდება წინასწარი გასაუბრების, სპეციალობასა და უცხო ენაში გამოცდებზე მიღებული შედეგების მიხედვით;
- 4.6. დოქტორანტურაში ჩარიცხვისას ყურადღება ექცევა აკადემიურ მოსწრებას (სამაგისტრო შრომების შეფასებასა და სამაგისტრო დოპლომის დანართს);
- 4.7. დოქტორანტების ჩარიცხვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს თსას-ის სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს თსას-ის რექტორი;
- 4.8. დოქტორანტად ჩარიცხვაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში თსას-ის რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს;
- 4.9. დოქტორანტს ენიშნება შესაბამისი ცენზისა და კვლევის გამოცდილების მქონე სამეცნიერო ხელმძღვანელი (6.1-6.2.);
- 4.10. თსას-ს, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელსა და დოქტორანტს შორის იდება სამმხრივი ხელშეკრულება, რომელშიც განისაზღვრება მხარეთა ვალდებულებები და უფლებები.

მუხლი 5. დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმა

- 5.1 დოქტორანტის ინდივიდუალურ გეგმას, რომელიც შედგება დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა და დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი გეგმისაგან, ადგენს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი დოქტორანტთან ერთად. ინდივიდუალური გეგმა მტკიცდება შესაბამისი კათედრის სხდომაზე, რომელიც ფორმდება ოქმით კათედრის გამგისა და მდივნის ხელმოწერით;
- 5.2 ინდივიდუალურ გეგმებში აღნიშნული უნდა იყოს სადოქტორო პროგრამის სახელწოდება, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი (კონსულტანტი), დოქტორანტურაში ჩაბარების თარიღი, დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი, სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ცხრილი, სადისერტაციო ნაშრომის სახელწოდება. (სადისერტაციო თემის მოკლე აღწერილობა (კვლევის მიზანი, საკითხის აქტუალობა, სიახლე და მნიშვნელობა, სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და კვლევის სავარაუდო გრაფიკი);
- 5.3 სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ნაწილია დოქტორანტის სემინარი. დოქტორანტი ვალდებულია, დისერტაციის დაცვამდე ერთხელ მაინც მოხსენებით წარდგეს შესაბამისი კათედრის სემინარზე, სადაც წაიკითხავს თეორიული ხასიათის მოხსენებას სასწავლო კურსების შესაბამისად;

- 5.4 დოქტორანტურის კვლევითი კომპონენტის სავალდებულო ნაწილია დოქტორანტის კოლოკიუმი. დოქტორანტი ვალდებულია, დისერტაციის დაცვამდე ორჯერ მაინც მოხსენებით წარდგეს შესაბამისი კათედრის სხდომაზე, სადაც წაიკითხავს მოხსენებას სადისერტაციო თემატიკიდან;
- 5.5 დოქტორანტის ინდივიდუალურ სასწავლო და კვლევით გეგმას ხელს აწერენ კათედრის გამგე, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი და დოქტორანტი.

მუხლი 6. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

- 6.1. თსას-ის სადისერტაციო საბჭო დოქტორანტს უნიშნავს სამეცნიერო ხელმძღვანელს სადოქტორო პროგრამის შესაბამისად, ამტკიცებს დოქტორანტის სადისერტაციო თემას, უქმნის დოქტორანტს პირობებს საფუძვლიანი განათლების მისაღებად და სამეცნიერო კვლევებზე ორიენტირებული სამუშაოების ჩასატარებლად. დოქტორანტს შეუძლია მონაწილეობის მიღება სამეცნიერო ხელმძღვანელის შერჩევაში;
- 6.2. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი უნდა იყოს შესაბამისი განათლების ცენზის მქონე პროფესორი ან აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული პირი, რომელსაც უნდა ჰქონდეს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და მნიშვნელოვანი პუბლიკაციები. იგი დოქტორანტთან ერთად ადგენს დოქტორანტის ინდივიდუალურ გეგმას კონკრეტული სამეცნიერო პროექტის განსახორციელებლად. ინდივიდუალურ გეგმაში მითითებული უნდა იყოს სასწავლო კომპონენტის შესრულებისა და კვლევითი სამუშაოების ჩატარების სავარაუდო გრაფიკი;
- 6.3. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სადისერტაციო საბჭოს წევრი ან/და სადოქტორო პროგრამაში ჩართული პროფესორი.
- 6.4. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი აკონტროლებს დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმის შესრულებას;
- 6.5. იმ შემთხვევაში, თუ სამეცნიერო ხელმძღვანელი რაიმე მიზეზით უარს იტყვის თავის მოვალეობაზე (რაც შესაძლებელია სწავლების ნებისმიერ ეტაპზე), მან დასაბუთებული განაცხადი უნდა წარუდგინოს სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს, დოქტორანტურის ხელმძღვანელსა და თსას-ის სადისერტაციო საბჭოს;
- 6.6. სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე უარის თქმის შემთხვევაში (რასაც შესაძლოა მოჰყვეს სადისერტაციო თემის შეცვლაც) დოქტორანტს დოქტორანტურის ხელმძღვანელის წარდგინებითა და სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება გაუგრძელდეს სწავლის ვადა;

- 6.7. დოქტორანტიისათვის ახალი სამეცნიერო ხელმძღვანელის დანიშვნა, შეცვლილი სადისერტაციო თემის დამტკიცება და დოქტორანტურაში სწავლის ვადის გაგრძელება ხდება სადისერტაციო საბჭოს დადგენილების საფუძველზე.
- 6.8. თსას-ის ერთი პროფესორი ერთდროულად შეიძლება იყოს არაუმეტეს 4 დოქტორანტის ხელმძღვანელი, ხოლო მოწვეული სპეციალისტი – არაუმეტეს 3 დოქტორანტისა;
- 6.9. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს შეიძლება დაენიშნოს 2 სამეცნიერო ხელმძღვანელი იმ შემთხვევაში, თუ სადისერტაციო ნაშრომი ორი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიჯნაზეა.
- 6.10. დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 და არაუმეტეს 5 წლისა (3+2).

მუხლი 7. დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა

- 7.1. დოქტორანტიისათვის სტატუსის შეწყვეტის საკითხი შეიძლება დადგეს:
 - ა) თსას-ს, დოქტორანტსა და სამეცნიერო ხელმძღვანელს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის გამო;
 - ბ) პლაგიატის ან მონაცემების გაყალბების დადასტურებისას;
 - გ) წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის საწინააღმდეგო ქმედების გამო.

დოქტორანტიისთვის სტატუსის შეწყვეტის ბრძანებას გამოსცემს თსას-ის რექტორი დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და სამეცნიერო საბჭოს მიმართვის საფუძველზე.

მუხლი 8. სადისერტაციო საბჭო

- 8.1. სადისერტაციო საბჭო არის თეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო;
- 8.2. სადისერტაციო საბჭო იქმნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ბრძანებით 5 (ხუთი) წლის ვადით დისერტაციის საჯარო განხილვისათვის და თეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად.
- 8.3. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შედიან თეოლოგიის (დვთისმეტყველების) დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პროფესორები. სადისერტაციო საბჭოს წევრებად, საჭიროების შემთხვევაში, თსას-ის სამეცნიერო საბჭოს თანხმობით, შეიძლება მოწვეულ იქნენ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ის პირები, რომლებიც ცნობილი

არიან თავიანთი ნაშრომებით მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების სფეროში;

- 8.4. თსას-ის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ნიშნავს სადისერტაციო საბჭოს თანათავმჯდომარეს და სწავლულ მდივანს 5 (ხუთი) წლის ვადით. კონკრეტულ სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე თავმჯდომარის ან თანათავმჯდომარის მოვალეობას ვერ შეასრულებს პირი, თუ განიხილება იმ დისერტანტის დისერტაცია, რომლის სამეცნიერო ხელმძღვანელი ან კონსულტანტი თვითონაა; ამ შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარის მოვალეობას შეასრულებს პირი, რომელსაც სამეცნიერო საბჭო ხმების უმრავლესობით აირჩევს;
- 8.5. თსას-ის სადისერტაციო საბჭო ამტკიცებს სადისერტაციო ნაშრომის თემასა და დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს;
- 8.6. სადისერტაციო საბჭო ნიშნავს საექსპერტო კომისიას და შემფასებლებს (რეცენზენტებს) სადისერტაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული სადოქტორო პროგრამების გათვალისწინებით.
- 8.7. სადისერტაციო საბჭო ამტკიცებს სადოქტორო პროგრამების განმახორციელებელი მიმართულებების (კათედრების) მიერ მომზადებულ იმ სამეცნიერო გამოცემების ნუსხას, რომელში გამოქვეყნებული სტატიებიც ჩაითვლება აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელ სამეცნიერო ნაშრომებად;
- 8.8. ადგენს და ამტკიცებს იმ ადრესატთა ნუსხას, რომელთაც უნდა დაეგზავნოს სადისერტაციო მაცნე;
- 8.9. ამტკიცებს დაცვის თარიღს;
- 8.10. სადისერტაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე ანიჭებს თეოლოგიის დოქტორის აკადემიურ ხარისხს.
- 8.11. სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა 2/3-ზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულია, თუ მას ხმას აძლევს დამსწრეთა 2/3 მაინც. სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე და სადისერტაციო საბჭოს მდივანი.
- 8.12. სადისერტაციო საბჭოს ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა ეცნობოს დოქტორანტს წერილობით.

მუხლი 9. სადისერტაციო ნაშრომი

- 9.1. თეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი უნდა იყოს წმინდა ეკლესიის უცვალებელ რწულსა და მოძღვრებაზე, მართლმადიდებლურ დოგმატიკაზე

დაფუძნებული ფართო დიაპაზონის გამოკვლევა, რომელსაც ექნება მნიშვნელოვანი სამეცნიერო-საღვთისმეტყველო ღირებულება. დისერტაცია უნდა შეიცავდეს თეორიული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ შედეგებს, რომლებსაც წვლილი შეაქვს მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების შესაბამისი დარგის განვითარებაში (თუ დოქტორანტი კვლევით ჯგუფშია ჩართული, ნათლად უნდა ჩანდეს მისი წვლილი);

9.2. დისერტაცია უნდა დაიწეროს ქართულ ენაზე. მას უნდა ახლდეს ძირითადი დებულებების ამსახველი მოკლე ვერსია – მაცნე (ავტორეფერატი) ქართულ და ერთ-ერთ ევროპულ (ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, ახალბერძნულ, რუსულ) ენაზე. განსაკუთრებულ შემთხვევაში დისერტაციის სხვა ენაზე შესრულების საკითხს წყვეტს სადისერტაციო საბჭო;

9.3. სადისერტაციო ნაშრომისა და სადისერტაციო მაცნეს მოცულობას, ფორმატს, გაფორმების წესს და სხვა მონაცემებს განსაზღვრავს „დოქტორანტის ინსტრუქცია“, რომელსაც სადისერტაციო საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი.

მუხლი 10. სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი განხილვა

10.1. დისერტანტის მიერ სადისერტაციო ნაშრომის დასრულების შემდეგ დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შესაბამის კათედრას წარუდგენს დასკვნას, რის შემდეგაც კათედრის გამგე, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, სადისერტაციო ნაშრომს გადასცემს საკვლევი პრობლემატიკის შესაბამისი დარგის კათედრის პროფესორს (საკვლევი დარგის სპეციალისტის კათედრაზე არარსებობის შემთხვევაში შესაძლებელია სპეციალისტის მოწვევა). ნაშრომის განხილვა კათედრაზე უნდა მოხდეს მისი მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

10.2. სადისერტაციო ნაშრომის განხილვას შესაბამისი კათედრის სხდომაზე წარმართავს კათედრის გამგე ან პროგრამის ხელმძღვანელი (სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი განხილვა ინიშნება უარყოფითი დასკვნის შემთხვევაშიც). განხილვის შედეგად კათედრის სხდომა იღებს გადაწყვეტილებას საკვალიფიკაციო ნაშრომის სადისერტაციო საბჭოში წარდგენის ან ნაშრომისათვის შემდგომი მსვლელობის მიზანშეუწონლობის თაობაზე. ამ შემთხვევაში სადისერტაციო ნაშრომი უბრუნდება დისერტანტს შენიშვნების გასათვალისწინებლად. განმეორებითი განხილვა შესაძლებელია მხოლოდ ექვს თვის შემდეგ. წინასწარი განხილვის მიმდინარეობა და მიღებული გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კათედრის გამგე და მდივანი.

მუხლი 11. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა

- 11.1. სადისერტაციო ნაშრომის დასრულების შემდეგ დოქტორანტურის ფაკულტეტი სადისერტაციო საბჭოს სწავლულ მდივანსა და სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარუდგენს საკვალიფიკაციო ნაშრომს დოქტორანტის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების ამსახველ დოკუმენტაციასა და ნაშრომის თემატიკასთან დაკავშირებული სავალდებულო პუბლიკაციების ნუსხასთან ერთად.
- 11.2. თუ დოქტორანტის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების ამსახველი დოკუმენტაცია მოწესრიგებულია, დოქტორანტს უფლება ეძლევა მოემზადოს დისერტაციის დაცვისთვის.
- 11.3. სადისერტაციო ნაშრომსა (დისერტაცია უნდა იყოს წარმოდგენილი 4 ეგზემპლარად ელექტრონული ვერსიითურთ) და მაცნესთან (ავტორეფერატთან) ერთად დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
- ა) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტების (180 კრედიტი) შესრულების დამადასტურებელი საბუთი;
 - ბ) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ამონაბეჭდები;
 - გ) ნუსხა იმ სამეცნიერო სემინარებისა და კონფერენციებისა, რომელთაც მოხსენდა სადისერტაციო ნაშრომის შედეგები;
 - დ) დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა, რომ იგი გაეცნო დისერტაციას და მიიხნევს, რომ ნაშრომი მზად არის საჯარო განხილვისათვის.
 - ე) კათედრის სხდომაზე სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი განხილვის ოქმი წინასწარი შეფასებისათვის გამოყოფილი სპეციალისტის დასკვნასთან ერთად.
 - ვ) დოქტორანტის განცხადება სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის (თანათავმჯდომარის) სახელზე, რომელშიც მითითებული უნდა იყოს კათედრა, სადაც შესრულდა სადისერტაციო ნაშრომი, აგრეთვე სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, სადისერტაციო თემა და სამეცნიერო ხელმძღვანელი.
- 11.4. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულ უნდა იქნეს სულ მცირე სამი სამეცნიერო სტატიის სახით რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში (დისერტაცია შეიძლება წარმოდგენილი იყოს მონოგრაფიის სახით). დოქტორანტს ნაშრომი გამოქვეყნებულად ეთვლება მაშინაც, როცა ის მიღებულია დასაბეჭდად, რაც დასტურდება რედაქციის მიერ გაცემული ცნობით ან შესაბამისი გამოცემის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციით.

მუხლი 12. სადისერტაციო ნაშრომის ექსპერტიზა

- 12.1. თსას-ის რექტორი დოქტორანტის განცხადებას შესაბამისი რეზოლუციით გადასცემს სადისერტაციო საბჭოს. მას შემდეგ, რაც სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე/თანათავმჯდომარე და სწავლული მდივანი შეისწავლიან წარმოდგენილ მასალებს და გადაწყვეტენ, რომ ეს მასალა აკმაყოფილებს დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, თავმჯდომარე (თანათავმჯდომარე) გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭოს სხდომის დანიშვნის თაობაზე (არაუგვიანეს შვიდი დღისა). ნაშრომის წარდგენიდან დაცვამდე განსაზღვრული დრო (6 თვე) აითვლება სადისერტაციო საბჭოს დანიშვნის დღიდან.
- 12.2. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე (თანათავმჯდომარე) სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით სადისერტაციო საბჭოს სხდომის დაწყებამდე ადგენს საექსპერტო კომისიას 2 წევრის შემადგენლობით. ერთი შეიძლება იყოს სადისერტაციო საბჭოს წევრი, მეორე კი – დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პროფესორი (საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მოწვევა). საექსპერტო კომისიას ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო.
- 12.3. საექსპერტო კომისიის დასკვნა უნდა იქნეს წარმოდგენილი 15 დღის ვადაში. დათქმული ვადის არასაპატიო მიზეზით შეუსრულებლობის შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო ამტკიცებს კომისიის სხვა შემადგენლობას (დათქმული ვადის ათვლა დაიწყება ხელახლა).
- 12.4. საექსპერტო კომისიის წევრები დასკვნას წარმოადგენენ ცალ-ცალკე. თუ ერთი ექსპერტის დასკვნა დადებითია, მეორისა კი – უარყოფითი, მესამე ექსპერტის გამოყოფის საკითხს წყვეტს სადისერტაციო საბჭო. უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში დისერტანტს უფლება აქვს ექვსი თვის ვადაში წარადგინოს დისერტაციის შესწორებული ვარიანტი.
- 12.5. საექსპერტო კომისიის დადებითი დასკვნის შემთხვევაში სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე (თანათავმჯდომარე) სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით გამოყოფს 2 შემფასებელს (რეცენზენტს) და დასამტკიცებლად წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს.

მუხლი 13. შემფასებლები (რეცენზენტები)

- 13.1. შემფასებლად (რეცენზენტად) ინიშნება შესაბამისი დარგის სპეციალისტი, რომელსაც აქვს მეცნიერებათა დოქტორის ან დოქტორის აკადემიური ხარისხი და აღნიშნული მიმართულებით გამოქვეყნებული აქვს სულ მცირე, სამი ნაშრომი რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში. რეცენზენტი არ შეიძლება იყოს დისერტანტის მიერ შესრულებულ ნაშრომთა თანაავტორი ან დისერტანტზე თანამდებობრივად დამოკიდებული პირი.

- 13.2. რეცენზენტები ეცნობიან სადისერტაციო ნაშრომს, მის ამსახველ გამოქვეყნებულ მასალებს და სადისერტაციო საბჭოს წარუდგენენ რეცენზიებს, რომლებშიც შეფასებული იქნება თემის აქტუალობა, კვლევის მეცნიერული დონე, მიღებული შედეგების საფუძვლიანობა და რეკომენდაცია ნაშრომის დაცვაზე დაშვების, ან დოქტორანტიისათვის შესასწორებლად უკან დაბრუნების, ანდა დაცვაზე უარის თქმის შესახებ. რეცენზენტებმა სადისერტაციო ნაშრომის წერილობითი შეფასება სადისერტაციო საბჭოს უნდა წარუდგინონ ნაშრომის მიღებიდან არაუმეტეს 30 დღისა. თუ რეცენზენტი საპატიო მიზეზით ვერ წარმოადგენს რეცენზიას დადგენილ ვადაში, სადისერტაციო საბჭოს აქვს ამ ვადის 15 დღით გაგრძელების უფლება. ვადის ამოწურვის შემთხვევაში უნდა დამტკიცდეს ახალი შემფასებელი;
- 13.3. თუ გამოყოფილი ორი შემფასებელიდან ორივე უარყოფითად შეაფასებს დისერტაციას, სადისერტაციო ნაშრომი დაცვაზე არ დაიშვება, ხოლო თუ ერთი დადებითად შეაფასებს, მეორე კი - უარყოფითად, მესამე შემფასებელს გამოყოფს სადისერტაციო საბჭო. უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში, დისერტანტს უფლება აქვს არაუგვიანეს ერთი წლისა, წარმოადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი.
- 13.4. თუ დისერტაცია არ იქნა დაშვებული დაცვაზე, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტს უფლება ეძლევა დამატებით იმუშაოს დისერტაციაზე. ამ შემთხვევაში სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს შეიძლება დამატებით დაენიშნოს ახალი ხელმძღვანელი-კონსულტანტი. შესწორებული ნაშრომის განხილვა ხდება იმავე წესით. შესწორებული ნაშრომის კვლავ უარყოფითად შეფასების შემთხვევაში დისერტაცია დასაცავად აღარ მიიღება;
- 13.5. დისერტაციის დაცვაზე უარის მიღების შემთხვევაში სასწავლო კომპონენტი ძალაში რჩება და მისი მოქმედების ვადა გრძელდება 5 წლის განმავლობაში პირველი კრედიტის მოპოვების დღიდან;
- 13.6. სადისერტაციო საბჭო გადასცემს დოქტორანტს რეცენზენტების დასკვნებს, ხოლო დაცვაზე დაშვების შემთხვევაში ატყობინებს დაცვის თარიღსაც. დოქტორანტს უნდა მიეცეს, სულ მცირე, 1 თვის ვადა დაცვისათვის მოსამზადებლად;
- 13.7. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა უნდა მოხდეს დისერტაციის წარდგენიდან 6 თვის ვადაში.

მუხლი 14. სადისერტაციო კომისია

- 14.1. რეცენზენტების მიერ სადისერტაციო ნაშრომის დასაცავად დაშვების შემთხვევაში სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე იძლევა უფლებას

გამოიცეს სადისერტაციო მაცნე და დაეგზავნოს სადისერტაციო საბჭოს დებულებით განსაზღვრულ ადრესატებს.

- 14.2. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე პროგრამის ხელმძღვანელთან კონსულტაციით საჯარო პაექრობის ორგანიზებისათვის ქმნის სადისერტაციო კომისიას არანაკლებ 5 წევრის შემადგენლობით.
- 14.3. სადისერტაციო კომისიის წევრებად არჩეული უნდა იყვნენ შესაბამისი დარგის დოქტორის სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტები. კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შეყვნილ იქნენ სხვა სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულებიდან მოწვეული დოქტორის ხარისხის მქონე დარგის სპეციალისტები. კომისიის შემადგენლობის არანაკლებ ნახევრისა უნდა დაკომპლექტდეს სადისერტაციო საბჭოს წევრებით. სადისერტაციო კომისიის წევრები არ შეიძლება იყვნენ სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე (თანათავმჯდომარე), სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი და საექსპერტო კომისიის წევრები (აუცილებლობის შემთხვევაში სადისერტაციო კომისიის წევრი შეიძლება იყოს ერთ-ერთი შემფასებელი).
- 14.4. სადისერტაციო კომისიას ხელმძღვანელობს წევრთაგან ღია კენჭისყრით არჩეული თავმჯდომარე. ღია კენჭისყრითვე აირჩევა მდივანი. სადისერტაციო კომისიის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.
- 14.5. სადისერტაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დახურულ სხდომაზე. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა 2/3-ზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულია, თუ მას ხმას აძლევს დამსწრეთა 2/3 მაინც;

მუხლი 15. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის პროცედურა

- 15.1. დისერტაციის დაცვა არის საჯარო პაექრობა დისერტანტსა და შემფასებლებს, დისერტანტსა და სადისერტაციო კომისიის წევრებს შორის. პაექრობის ენა ქართულია.
- 15.2. თუ ერთი რეცენზენტი საპატიო მიზეზით ვერ ესწრება დაცვას, მაგრამ წარმოდგენილია მისი დადებითი რეცენზია, დაცვა შესაძლებელია; უარყოფითი რეცენზიის შემთხვევაში დაცვა გადაიდება.
- 15.3. სადისერტაციო კომისიის ერთ სხდომაზე შეიძლება მხოლოდ ერთი დისერტაციის დაცვა.
- 15.4. დისერტაციის დაცვა შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:
 - ა) სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარისა და მდივნის მიერ დოქტორანტთან დაკავშირებული ინფორმაციის წარმოდგენა;
 - ბ) დოქტორანტის მოხსენება (არაუმეტეს 20 წუთისა);
 - გ) დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა;

- დ) რეცენზენტების მიერ რეცენზიების საჯარო წარმოდგენა;
- ე) სამეცნიერო დისკუსია;
- ვ) სადისერტაციო კომისიის დახურული სხდომა დისერტაციის შესაფასებლად.
- ზ) სადისერტაციო კომისიის შეფასების საფუძველზე სადისერტაციო საბჭოს მიერ ღია კენჭისყრით დოქტორის ხარისხის მინიჭება.
- თ) სადისერტაციო ნაშრომის შეფასების გამოცხადება;
- ი) მიღებული გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე/თანათავმჯდომარე და სადისერტაციო საბჭოს მდივანი.

დისერტაცია ფასდება შემდეგი სისტემით (შეფასება 100-ქულიანია):

- ა) A- ფრიადი (summa cum laude) – 91-100 ქულა;
 - ბ) B- ძალიან კარგი (magna cum laude) – 81-90 ქულა;
 - გ) C- კარგი (cum laude) – 71-80 ქულა;
 - დ) D- საშუალო (bene) – 61-70 ქულა;
 - ე) E- დამაკმაყოფილებელი (rite) – 51-60 ქულა;
 - ვ) FX- არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) – 41-50 ქულა;
 - ზ) F- სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – 0-40 ქულა;
- „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება თეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი;
- „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება;
- „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას;
- მიღებული გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე და სადისერტაციო საბჭოს მდივანი.

მუხლი 16. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი

- 16.1. თეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას ადასტურებს დიპლომი, რომელიც გაიცემა დისერტაციის დაცვის შემდეგ, არაუგვიანეს 6 თვის ვადაში;
- 16.2. თეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი გაიცემა მას შემდეგ, რაც დისერტაცია გამოქვეყნდება ბეჭდური ან ელექტრონული სახით თსას-ის ვებ-გვერდზე;
- 16.3. დიპლომში აღინიშნება სადისერტაციო საბჭოს დასახელება, დაცვის თარიღი, სადისერტაციო ნაშრომის სათაური, მინიჭებული ხარისხი.

დიპლომს ხელს აწერს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე და თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი. დიპლომი დასტურდება დაწესებულების ბეჭდით;

- 16.5. დიპლომი გაიცემა საერთაშორისო ფორმის დიპლომის დანართთან ერთად, რომელიც ივსება ქართულ და ინგლისურ ენაზე. დიპლომისა და დანართის ასლი ინახება თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის დოქტორანტურის არქივში;
- 16.6. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ფორმას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმებით ამტკიცებს თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი;

მუხლი 17. დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილად ცნობა

- 17.1. დოქტორისათვის აკადემიური ხარისხის ჩამორთმევა (ბათილად ცნობა) ხდება სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით აკადემიური და კვლევის ეთიკის ნორმების დარღვევის (სადისერტაციო ნაშრომში გაყალბებული მონაცემების გამოყენება, პლაგიატი...) დადასტურების შემთხვევაში.